საქართველოს პარლამენტი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

№ 72
21-11-2016

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარალამენტის რეგლამენტის 38-ე მუხლის შესაბამისად, გიგზავნით ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქლაქო ინტეგრაციის კომიტეტის პირველი საორგანიზაციო სხდომის ოქმს და დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ კომიტეტის დებულებას.

დანართი: - სხდომის ოქმი-2ფ;
- კომიტეტის დებულება -10ფ.

პატივისცემით,

სოფიო კილაძე
კომიტეტის თავმჯდომარე

4600, ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის საორგანიზაციო სხდომის

ოქმი N1

(21 ნოემბერი 2016 წელი)

სხდომას უძღვებოდა - კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო კილაძე

სხდომას ესწრებოდნენ - კომიტეტის წევრები: ფოფხაძე გედევან, იონათამიშვილი რატი, მირზოევი სავალან, პოღოსიანი რუსლან, ლურსმანაშვილი კობა, ხალვაში ფატი, ბესელია ეკა, ჩრდილელი ოთარ, ხოშტარია ელენე, რატიანი სერგო, კახიძე ოთარ, სამადაშვილი სალომე.

დღის წესრიგი:

1. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დებულების შემუშავება;
(სოფიო კილაძე - კომიტეტის თავმჯდომარე)

2. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის და მოადგილეების არჩევა;
(სოფიო კილაძე - კომიტეტის თავმჯდომარე)

1. მოისმინეს:

კომიტეტის თავმჯდომარის ინფორმაცია კომიტეტის დებულების პროექტის თაობაზე.
კომიტეტის წევრმა რატი იონათამიშვილმა გამოთქვა შენიშვნა პროექტის მე-5 მუხლთან დაკავშირებით და კომიტეტს შესთავაზა დებულებაში კომიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს დაემატოს მონიტორინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების განხორციელებაზე. კომიტეტის წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შენიშვნა.

გადაწყვიტეს:

კომიტეტის წევრებმა მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, ერთხმად დაუჭირეს მხარი კომიტეტის დებულების პარლამენტის ბიუროსთვის დასამტკიცებლად წარდგენას.

2. მოისმინეს:

კომიტეტის თავმჯდომარის ინფორმაცია კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების კანდიდატურების წარდგენის თაობაზე:

კომიტეტის თავმჯდომარემ პირველი მოადგილის თანამდებობაზე წარადგინა გედევან ფოფხაძის კანდიდატურა; კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე საპარლამენტო უმრავლესობის მიერ წარმოდგენილ იქნა რატი იონათამიშვილის კანდიდატურა, ხოლო საპარლამენტო უმცირესობის მიერ - გიორგი ტუღუშის კანდიდატურა.

გადაწყვიტეს:

კომიტეტის წევრებმა ღია კენჭისყრით მხარი დაუჭირეს გედევან ფოფხაძის კომიტეტის პირველი მოადგილის თანამდებობაზე არჩევას.

კომიტეტის წევრებმა ღია კენჭისყრით მხარი დაუჭირეს რატი იონათამიშვილის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევას.

კომიტეტის წევრებმა ღია კენჭისყრით მხარი დაუჭირეს გიორგი ტუღუშის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევას.

სხდომის თავმჯდომარე
სოფიო კილაძე

სხდომის მდივანი
ვალერიან ტეტუნაშვილი